ბრძანება:**ბ42. 42250445**
თარიღი:**13/02/2025**

**ელექტრონული აუქციონის (აუქციონის N 29193, ლოტის N 1021533) შედეგების გაუქმების შესახებ**

,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ ფოთში, 9 აპრილის ხეივანში მდებარე 544.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.01.10.801) უპირობო ელექტრონული აუქციონით პრივატიზების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის, 2024 წლის 16 დეკემბრის, N ბ42.422435121 ბრძანების საფუძველზე გამოცხადდა უპირობო ელექტრონული აუქციონი ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ ფოთში, 9 აპრილის ხეივანში მდებარე 544.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.01.10.801) პრივატიზებასთან დაკავშირებით.
ელექტრონული აუქციონი ჩატარდა სსიპ ,,სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ ვებგვერდზე (www.eauction.ge, აუქციონის N 29193, ლოტის N 1021533), რომელშიც მის მიერ შემოთავაზებული თანხის 522600.00 (ხუთასოცდაორი ათას ექვსასი) ლარის საფუძველზე გაიმარჯვა ფიზიკურმა პირმა ნოდარ ანთიამ (პ/ნ 42001009753, მისამართი: ქალაქი ფოთი, ნიკო ნიკოლაძის სანაპირო N45, ბინა N21), რომელზეც 2025 წლის 13 იანვარს გაიცა ელექტრონულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი N1.
ელექტრონულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის საფუძველზე 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში ფორმდება ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ქონების მმართველსა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ქონების შემძენს შორის წერილობითი ნასყიდობის ხელშეკრულება, ხოლო მყიდველს არ ეძლევა საკუთრების უფლება ქონებაზე, ელექტრონული აუქციონის შედეგები უქმდება და ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულის მიერ გადახდილი ,,ბე“ სრულად ირიცხება ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, თუ ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა ნასყიდობის ხელშეკრულების ხელმოწერაზე უარი განაცხადა ან/და აუქციონატორის მიერ განსაზღვრულ ვადაში, სრულად არ გადაიხადა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულება.
ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტსა (ს/კ 215138143) და ფიზიკური პირი ნოდარ ანთიას (პ/ნ 42001009753) შორის, 2025 წლის 28 იანვარს გაფორმდა N 5 ნასყიდობის ხელშეკრულება.
ხსენებული ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.1. პუნქტის შესაბამისად მყიდველი ვალდებულია ელექტრონულ აუქციონზე შეძენილი ქონების ნასყიდობის საბოლოო ფასი 522600.00 (ხუთასოცდაორი ათას ექვსასი) ლარი სრულად გადაიხადოს ხელშეკრულებაზე ხელმოწერიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში, შემდეგ საბანკო რეკვიზიტებზე: მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: TRESGE22, სახაზინო კოდი: 300423390 (შემოსულობა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო მიწების გაყიდვიდან). ამავე მუხლის 4.2. პუნქტის შესაბამისად მყიდველს, საბოლოო ანგარიშსწორებისას გადასახდელ 522600.00 (ხუთასოცდაორი ათას ექვსასი) ლარში გადახდილად ეთვლება ,,ბეს“ სახით გადახდილი 28920.00 (ოცდარვა ათას ცხრაასოცი) ლარი.
ხსენებული ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.1. პუნქტის შესაბამისად მყიდველს არ ეძლევა საკუთრების უფლება ქონებაზე, ელექტრონული აუქციონის შედეგები უქმდება და ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულის მიერ გადახდილი ,,ბე“ სრულად ირიცხება ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, თუ: ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა, აუქციონატორის მიერ განსაზღვრულ ვადაში (ხელშეკრულების ხელმოწერიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღე), სრულად არ გადაიხადა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულება (ნასყიდობის საბოლოო ფასი).
ფიზიკური პირი ნოდარ ანთიამ, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტსა და ფიზიკური პირი ნოდარ ანთიას შორის, 2025 წლის 28 იანვარს გაფორმებული N 5 ნასყიდობის ხელშეკრულებით დადგენილ

ვადებში არ გადაიხადა ელექტრონულ აუქციონზე შეძენილი ქონების ნასყიდობის საბოლოო ფასი 522600.00 (ხუთასოცდაორი ათას ექვსასი) ლარი.
ამდენად, უნდა გაუქმდეს ელექტრონული აუქციონის (აუქციონის N 29193, ლოტის N 1021533) შედეგები.
საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.ე“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად

**ვბრძანებ**

**მუხლი 1.** გაუქმდეს სსიპ ,,სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ ვებგვერდზე (www.eauction.ge) ჩატარებული ელექტრონული აუქციონის (აუქციონის N29193, ლოტის N1021533) შედეგები.
**მუხლი 2.** ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დაბრუნდეს ქალაქ ფოთში, 9 აპრილის ხეივანში მდებარე 544.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.01.10.801), ფიზიკური პირი ნოდარ ანთიაზე (პ/ნ 42001009753) არ გაიცეს საკუთრების უფლების მოწმობა და მის მიერ გადახდილი ,,ბე“ 28920.00 (ოცდარვა ათას ცხრაასოცი) ლარი სრულად ჩაირიცხოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.
**მუხლი 3.** წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე.
**მუხლი 4.** წინამდებარე ბრძანების ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე გამოქვეყნება და ინფორმაციის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ვებგვერდზე poti.gov.ge-ზე განთავსება უზრუნველყოს საინფორმაციო, საგარეო და საზოგადოებასთან ურთიერთობების განყოფილებამ.
**მუხლი 5.** ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის მდგრადი განვითარებისა და ინოვაციების სამსახურის უფროსს თეონა გეთიას.
**მუხლი 6**. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მის. ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა N 3).
**მუხლი 7.** ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბექა ვაჭარაძე

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია-ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი